დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 19 მარტის №75 ბრძანებით;

დოკუმენტში ცვლილებები განხორციელდა უნივერსიტეტის რექტორის 2023 წლის 23 ოქტომბრის № 35538, 2025 წლის 16 ივლისის N44937 2026 წილს 4 ივნისის N48708 ბრძანებით

შპს ევროპის უნივერსიტეტში

წესრიგის დაცვისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები

2020 წელი

დოკუმენტის შინაარსი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები 3

მუხლი 2. წესრიგის დაცვის მექანიზმები 4

მუხლი 3. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები 4

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს შპს ევროპის უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) წესრიგის დაცვისა და პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმებსა და პროცედურას.

2. ამ დოკუმენტით გათვალისწინებული მექანიზმების განხორციელებაზე პასუხისმგებელია უნივერსიტეტის სერვისების სამსახური, კერძოდ სამედიცინო მომსახურების მიმართულებით - ექთნები, ხოლო წესრიგის დაცვისა და უსაფრთხოების მიმართულებით - წესრიგის დაცვისა და უსაფრთხოების სპეციალისტები, რომლებიც ხელმძღვანელობენ საქართველოს კანონმდებლობით, შიდა საუნივერსიტეტო აქტებით და წინამდებარე წესით.

3. წესრიგის დაცვისა და უსაფრთხოების მიმართულებით სერვისების სამსახური ახორციელებს შემდეგ ფუნქციებს:

ა) იცავს საზოგადოებრივი წესრიგისა და სახანძრო უსაფრთხოების წესებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ბ) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტების უსაფრთხოებას;

გ) უსაფრთხოების დაცვის მიზნით ახორციელებს პერსონალის/სტუდენტების და სხვა ვიზიტორთა უნივერსიტეტის ტერიტორიაზე/შენობაში შემოსვლისა და გასვლის კონტროლს;

დ) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ქონების დასაცავად აუცილებელი ღონისძიებების გატარებას და საჭიროების შემთხვევაში მიმართავს სამართალდამცავ ორგანოებს;

ე) ხანძრის ან სხვა საგანგებო სიტუაციების დროს, მონაწილეობს უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მყოფთა ევაკუაციის პროცესში.

4. სერვისების სამსახური სამედიცინო მომსახურების მიმართულებით ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

ა) საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტებისათვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა ან/და სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახება;

ბ) სამედიცინო საქმიანობის წარმართვა პაციენტის ინტერესების შესაბამისად;

გ) სამედიცინო დახმარებისთვის საჭირო რესურსების განსაზღვრა;

დ) უნივერსიტეტში ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების კონტროლი;

ე) უნივერსიტეტის სამედიცინო მომსახურების ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლებაზე ზრუნვა.

მუხლი 2. წესრიგის დაცვის მექანიზმები

1. წესრიგის დაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების სპეციალისტები ვალდებულნი არიან მუდმივად აკონტროლონ უნივერსიტეტში დამონტაჟებული სამეთვალყურეო კამერები და დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აღმოფხვრან იგი.

2. უნივერსიტეტის ტერიტორიის შესასვლელებში დამონტაჟებულია ტურნიკეტის აპარატი. შესვლა დასაშვებია ბარათების გამოყენებით, მისი არქონის შემთხვევაში შესვლა დასაშვებია წესრიგის დაცვისა და უსაფრთხოების სპეციალისტების ნებართვით.

3. უცხო პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, სტუმრისთვის განკუთვნილი დაშვების ბარათის სანაცვლოდ რჩება დაცვისა და უსაფრთხოების სპეციალისტთან იქამდე, სანამ პიროვნება არ დატოვებს უნივერსიტეტის შენობას.

4. ყველა სტუდენტი ვალდებულია თან იქონიოს სტუდენტური ბარათი/პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და წარუდგინოს დაცვისა და უსაფრთხოების სპეციალისტს თანამშრომლების მოთხოვნის საფუძველზე უნივერსიტეტის ტერიტორიაზე შესვლისას და გასვლისას.

5. უნივერსიტეტის კორპუსების ყველა სართულზე, თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმები. უნივერსიტეტი აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით რომელიც განთავსებულია დერეფნებში და ბიბლიოთეკაში. საგანგებო ვითარების დროს დაცვისა და უსაფრთხოების სპეციალისტები ვალდებულნი არიან 112 - ზე დარეკვით გამოიძახონ შესაბამისი სამსახურები (სახანძრო, სასწრაფო დახმარების სამსახური და სხვ.) და უზრუნველყონ შესაბამისი წესების დაცვით შენობაში მყოფების მიერ შენობის უსაფრთხოდ დატოვება.

მუხლი 3. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები

1. უნივერსიტეტის კორპუსებში (ქ. თბილისში სარაჯიშვილის ქ. 17- ში, გურამიშვილის გამზ. №76 - ში, გივი ჟვანიას ქ. №15 - ში) განთავსებულია სამედიცინო კაბინეტი, რომელიც უზრუნველყოფილია საჭირო ინვენტარითა და პირველადი დახმარების მედიკამენტებით.

2. უნივერსიტეტში დასაქმებულნი არიან ექთნები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფენ ისეთ პირველადი დახმარების აღმოჩენას როგორიცაა მაგ. წნევის და ტემპერატურის გაზომვა, ჭრილობის გადახვევა, ასევე ისეთი მედიკამენტის მიწოდებას (ტკივილგამაყუჩებელი და სხვა) რომელიც ხელმისაწვდომია აფთიაქებში ურეცეპტოდ.

3. საექიმო პუნქტში მიმდინარეობს პაციენტების ყოველდღიური მიღების ჟურნალის/ჟურნალების წარმოება, ასევე წარმოებს მედიკამენტების შემოტანის ჟურნალი, კეთდება აღწერა მედიკამენტების ვადებზე და ხორციელდება ვადაგასული მედიკამენტების ჩამოწერა.